საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №171/ნ

2019 წლის 19 აგვისტო

ქ. თბილისი

საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარღვევის აღრიცხვის ფურცლის ფორმის დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 48^3 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარღვევის აღრიცხვის ფურცლის ფორმა თანდართული სახით.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარღვევის აღრიცხვის ფურცლის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 10 ივნისის №102/ნ ბრძანება.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და **მიხეილ ბატიაშვილი**
სპორტის მინისტრი

დანართი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 27 მაისის ბრძანება №24/ნ - ვებგვერდი, 28.05.2021 წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 18 მარტის ბრძანება №78/ნ - ვებგვერდი, 19.03.2024 წ.

საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარღვევის აღრიცხვის ფურცლის ფორმა

საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარღვევის აღრიცხვის ფურცელი №000000 დარღვევის აღრიცხვის ფურცლის შედგენის თარიღი: (რიცხვი, თვე, წელი)

სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური **დარღვევის აღრიცხვის ფურცლის შედგენის ადგილი:**

დარღვევის ტიპი:

დარღვევის ქვეტიპი:

დამრღვევი პირ(ებ)ი:

დამრღვევი პირის სტატუსი	პირადი ნომერი	სახელი	გვარი

დარღვევის აღრიცხვის ფურცლის შემდგენი:

დარღვევის აღრიცხვის ფურცლის შემდგენის სტატუსი	სახელი	გვარი

დარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და მანდატურის/უფლებამოსილი პირის მიერ გატარებული ღონისძიება:

შენიშვნა: